დაე, მეორედ ჩვენი მოხვლისას ის ქეგლიც თავის ადგილას გვენახოს, როგორც სიმბოლო ქართული გენის უძღვევლობისა და უკვდავებისა!

ზ. აბრალავა

სცენაზე კოკა-კოლა ანსამბლი „ფაზისი“



გ. გუნიას სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა შემოქმედებითი საღამო, რომელიც მიეძღვნა საამაყო შემოქმედებით ადამიანებს, ფოთელთა სახელმწიფო ადამიანებს, რომლებიც 4 ათეული წელია რაც გვახარებენ თავიანთი შემოქმედებით და წარმატებებით. გვანიჭებდნენ და გვანიჭებენ დიდ სიმოწებებს სცენიდან და ეკრანიდან, გვიღამაზებენ ცხოვრების წუთებს და გვაზიარებენ მუსიკის საოცარ სამყაროს.

საღამო გახსნა მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ირმა გუგუშვილმა, რომელმაც დიდი იუბილე მიულოცა „ოქროს ბიჭებს“ ყველაფერი დაიწყო 1976 წლის მიწურულს, როდესაც ფოთის გემთმშენებელი-გემთშემკეთებელი ქარხნის კლუბთან ჩამოყალიბდა მუსიკალური კოლექტივი, რომლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგამელი იყო უნიჭიერესი, მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება, ფოთის კოლორიტი ირაკლი (ბოჩია) ლოლუა, დიდი ძუკუ ლოლუას ვაჟი.

ბატონი ირაკლი მისთვის დამახასიათებელი მაქსიმალისმით შეუდგა საქმეს და შემოიკრიბა ქალაქის საუკეთესო შემოქმედებითი ძალები, მუსიკალურ ხელმძღვანელად მოიწვია ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსი ვიაჯანელიძე, ლორბარად-ეროდი ტიკაბრაძე, ხოლო ქორეოგრაფად თამარა ტურბოვეცი, ჩვენ ქალაქში საბალონ-სამეჯლისო ცეკვების პიონერი. ვაკთა ანსამბლის შემადგენლობაში იყვნენ: ავთანდილ აბურჯანია და სოსო გვაძაბია (I ხმები), ნუგზარ დადიანი და ჯანაიკო დანელია (II ხმები), ბიძინა თავბერიძე, იური ხუბუა, ზურაბ დანელია და ბორის ყუფარაძე (ბანები). მათთან ერთად კოლექტივს ალამაზბენდნენ მომღერალი გოგონები: ნანი გუგუშვილი, ნალიტა ამირანაშვილი, სვეტილანა სიჭინავა, ნინო ბასილია, ლია ჩინუა. ვოკალური-ინსტრუმენტალური ანსამბლი „კომეტა“ ერთნაირი წარმატებით ასრულებდა როგორც ფოლკლორულ, ასევე საესტრადო სიმღერებს. შეიქმნა ორიგინალური ვოკალური-ქორეოგრაფიული კომპოზიციები შოუს ელემენტებით. ანსამბლმა მოკლე პერიოდში საოცარი პოპულარობა და წარმატება მოიპოვა.

ბევრს ახსოვს ჩვენ ქალაქში ჩატარებული პირველი „ფაზისობა“, არანაყოფიერებოვი დანსკნითი ღონისძიება პორ-

ტის აკვატორიში სახვლო ვაგზალთან, რომელიც მთლიანად ამ შემოქმედებითი კოლექტივის ძალებით განხორციელდა. შემდეგ იყო წარმატებული გამოსვლები თბილისში, ბათუმში, გორსა და ზუგდიდში. ამავე პერიოდში იყო მათი გასვლა საქართველოს ფარგლებს გარეთ ქალაქ გორში.

საღამოს ესწრებოდა იმ პერიოდში ფოთის გამომშენებელი-გემთშემკეთებელი ქარხნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბატონი თმარ ხუხუნი, რომელმაც გაიხსენა კოლექტივის პირველი სასცენო ნაბიჯები.

ისევ მოვიხიბლეთ სიმღერით „გაზაფხული შემოსულა ღენ“ და „ღამე დაეხებტები“.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ანსამბლი ახალი წარმატებებით აგრძელებს მოღვაწეობას უკვე საქალაქო ანსამბლის სტატუსით. მისთვის იქმნება სპეციალური საკონცერტო პროგრამა მოწვეული ცნობილი კომპოზიტორების ნუგზარ ედილაშვილის და ბორის თბილელის მიერ. ამ პერიოდში გამოჩნდა ანსამბლი საქართველოს ტელევიზიის I არხზე. ამ გადაცემის ავტორი იყო ცნობილი მომღერალი გოგი დოლიძე, რომელიც ამ ანსამბლის დიდი მეგობარი და გულშემოტიკი ვახლდათ.

1984 წლიდან ბიჭები შემოქმედებით მოღვაწეობას აგრძელებენ ფოთის საქალაქო კულტურის სახლში, სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ფაზისის“ შემადგენლობაში და მათ ემატებათ ახალი ძალები, ნიჭიერი მომღერლები: ნუგზარ ნაჭყებია, თემურ ფიფია, ვალერი ნიკოლაიშვილი, პაატა ყურუა, ვურამ ღვინჯილია, რამინ კილასონია და რა თქმა უნდა ახლახან ჩვენგან უდროოდ წასული მეგობარი ტარიელ თურქია.

ტარიელი დღეს ამ საღამოზე ჩვენ გვერდით უნდა ყოფილიყო და როგორც ვოკალთვის თავისი უღამაზესი ხმით დაეტებო მსმენელი. გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ამ შეხანიშნავი მომღერლის სსოვნას.

მიუხედავად ამ მძიმე ემოციებისა ჩვენ, ტარიელის მეგობრები ვაგრძელებთ იმ საქმეს რომელიც მას ასე ძალიან უყვარდა. არ ვიცი როგორ გამოვივა, მაგრამ დღეს ჩვენ ტარიელთან ერთად კიდევ ერთხელ ვიმღერებთ-ამბობს ანსამბლის უცვლელი პროფესორი, დონისძიების ავტორი, რეჟისორი

სოსო გვაძაბია. ვიდრეწინაწერი-მღერის ტარიელ თურქია და იუბილარი ანსამბლი.

შევახსენებ ჩვენს მკითხველს, რომ ერთი წლის წინ სახელმოდ გაიხსნა ფოთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ფაზისის“ სახელმოდ ვარსკვლავი. სხვათაშორის ეს პირველი ვარსკვლავია ქალაქის კულტურული ცხოვრების ისტორიაში.

ახლახან კიდევ ერთი სახიხარულო მოვლენა მოხდა. ნება მომეცით ჩვენი ანსამბლის და თქვენი სახელით დავაწვდომოთ ადამიანს, ბატონ ეროდი ტიკაბრაძეს, ჩვენს იროდი მასწავლებელს მიუულოცო ხელოვნების ქურუმის საპატიო წოდების მინიჭება. წამყვანის ამ სიტყვებს ტაშით შეხვდა მაყურებელი.

გაიხსენს სიმღერა „დედის ნანა“, „ხმალი მომეც და ხანჯალი“, „მუხამბაზი“.

კიდევ ერთი ვარსკვლავური კოლექტივი, თავისი უღამაზესი ხმებით, გულში ჩამწვდომი მეგობარი მელიქიძე მსმენელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. სცენაზე ქალთა ტრო-ქანა წულიას ნალიტა ამირანაშვილის და ფერიდე კალანდიას შემადგენლობით.

ის, რაც განვილი 4 ათეული წლის მანძილზე შესრულდა ქალთა კულტურისა და ცეკვის 20-მდე ქვეყნის საკონცერტო სცენებზე, სხვადასხვა კონკურსებზე, ფესტივალებზე კონცერტებზე არის ერთი ფოთელი მუსიკოსის დიდი შრომისა და სა-

ლოცო ნიჭის ნაყოფი. მას წარმატებით უმოღვაწია საგუნდო და საესტრადო ჟანრში, არის სიმღერების ავტორი, მუსიკალურად გაფორმებული აქვს არაერთი სპექტაკლი ფოთის თეატრში, იყო სენაკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი, ფოთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ფაზისის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. ეს ადამიანი გახლავთ ჩვენი მახეტრო, ბატონი ვიაჯანელიძე. მას ტიტულები და რეგალიები არ აკლია, მაგრამ ყველაზე მთავარი საზოგადოებრივი აღიარება და სიყვარულია.

როდითან ვიაჯანელიძე, ტკბილი მანგები იღვრება „ჩიტი გვრიტი მოფრინავდა“...


კონცერტზე ყველა ელოდებოდა კიდევ ერთი არანაყოფიერებოვი მომღერლის გამოჩენას, რომლის ხელოვნება და საშემსრულებლო კულტურა უწყობს ამ სიტყვებს ქართულ სცენას. რა თქმა უნდა დღესაც ის ჩვენთან-

ნაა, გთხოვთ მიხედვით - სცენაზე ქალბატონი ნანი გუგუშვილი.

(სიმღერა - დაილოცოს საქართველო)

ანსამბლის წარმატებებში, მათი წევრების ნიჭისა და თავდადებულ შრომასთან ერთად, ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით ადამიანებს დიდ ჯგუფს, რომელთა მხარდაჭერის, თანადგომის და დახმარების გარეშე ვერ შეიქმნებოდა ეს ისტორია. ესენი გახლავთ ბატონი ბაკურ გულუა, ბატონი გერონტი კუხალიაშვილი, ბატონი რომან მელია, ბატონი თემურ წურწუშია, ბატონი ნუგზარ ნადარაია, ბატონი ჯემალ გურგენაძე, ბატონი მერაბ კორტავა, ბატონი ვანო ზოდუა, ბატონი ვიაჯანელია, ქალბატონები ნათელა რუხაძე, ფოთოლა ქაჯაია.

ამასთან აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის ადამიანებიც, რომლებიც სამწუხაროდ არ არიან ჩვენ გვერდით. გვსურს გავიხსენოთ ახლახან გარდაცვლილი ქალბატონი ლეილა კაკულია, რომლის დედალი განსაკუთრებულია ამ ანსამბლის ჩამოყალი-



ბეგბასა და წარმატებებში, ასევე უნდა გავიხსენოთ ბატონი ირაკლი (ბოჩია) ლოლუა, ბატონი ზაურ არჩაიძე (გემთმშენებელი ქარხნის დირექტორი), ბატონი თენგიზ ქოიავა, ანსამბლის წევრები სხვადასხვა პერიოდში - აბული სეფიაშვილი, ბორის ყუფარაძე, თენგიზ ქლიფთარი, ანზორ კუტაღიშვილი.

განსაკუთრებული მადლობა ქალაქის დღევანდელ ხელმძღვანელს ბატონ ირაკლი კაკულიას, რომლის დიდი ძალისხმევით გარეშე ვერ მოხერხდებოდა კოლექტივის აღდგენა 10 წლიანი პაუზის შემდეგ. ბატონმა ირაკლი კაკულიამ ანსამბლს მიულოცა იუბილე და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

ანსამბლის იუბილეზე სპეციალურად ჩამოვიდა ისრაელიდან ბატონი ავთო აბურჯანია, იგი 10 წელია იქ ცხოვრობს.

ამ სიურპრიზმა ყველა გაგვახარა, მართლაც ამადღეველები შეხვედრა და დამაზის სადამო იყო.

მობს-ახალ ნელს გვილოცავს მომავალი თაობა

თიკა გვაჩვენა



ჩვენს პატარა, ლამაზ ქალაქში დაიბადა თიკო გვაჩავა. მან ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თბილისში არსებული ამერიკული სკოლა-კოლეჯი „ლოვოსი“.

თიკოს გულმა სწავლის გასაგრძელებლად

ძელებლად ევროპისაკენ გაუწია. ის წელს ბულგარეთში ამერიკის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. თიკო თავისი აკადემიური მოსწრებით უნივერსიტეტში მსოფლიოს 30 ქვეყნის ახალგაზრდებს შორის ლიდერად აღიარეს. ასე გახდა 18 წლის ახალგაზრდა 2016 წლის უცხო ქვეყნის სტუდენტი.

მშობლები ქ-ნი დარეჯან ცირდავა და ბ-ნი დემურ გვაჩავა არასოდეს ჩარეულან შვილის პირად ცხოვრებაში, თუმცა ისინი ყოველთვის გონივრულად და ტაქტიანად აკონტროლებდნენ შვილის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და აძლევდნენ შვილს თავისუფალი განვითარების საშუალებას. მაგრამ დედ-მამას გაუჭირდა პატარა ქალიშვილის გარეშე და მიიღეს გადაწყვეტილება შვილისთვის ბულგარეთში ჩაეკითხათ. რაც კიდევაც შეასრულეს.


მშობლები უნივერსიტეტში შეხვდნენ პროფესორ - მასწავლებლებს, მათ აღნიშნეს, რომ თიკო არის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი. ის ამ ზაფხულს გაცვლითი პროგრამით 3 თვით მიემგზავრება ამერიკაში. სადაც კიდევ უფრო აიმაღლებს სწავლის დონეს.

მომავალ სასწავლო წელს თიკო თავად იქნება მასწავლებელი და თვითონ ჩაატარებს ლექციებს. პედაგოგები ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდაზე. მშობლები აღფრთოვანდნენ შვილის წარმატებით.

თიკოს უსახვროდ უყვარს თავისი ქვეყანა, მას ენატრება საქართველო. იგი მთელი გულით ულოცავს დამდეგ შობა-ახალწლის მობრძანებას თავისი საყვარელ მეგობრებს და სრულიად საქართველოს.

მომავალი ცხოვრების გზა ჩვენც დაუულოცოთ ნიჭიერ ახალგაზრდას

შალვა საჯაია



ფოთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის აღზრდილი, დიდი მომავლის მქონე ფეხბურთელი შალვა საჯაია ამჟამად თბილისის საბურთალოს რაიონის ბავშვთა საფეხბურთო კლუბში თამაშობს. გუნდი წარმატებით გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის შალვა საჯაიას, რომელზეც კვლავაც დიდ იმედებს ამყარებენ. შალვა შობა-ახალწელს ულოცავს თავის აღმზრდელს ლერი ცირამუას, ნუგზარ ლემონჯავას, მადლობას უხდის კახა აფრემიძეს და კახა ლატარიას თანადგომისათვის. ასევე დიდ მადლობას უხდის დახმარებისათვის, მხარდაჭერისათვის მამის, მამუკა საჯაიას მეგობრებს იანგული (ჯოტია) ალანიას, ნოდარ კორსანტიას და თეა ბელქანიას, თითოეულ მათგანს, ასევე ყველა ფოთელს უსურვებს, რომ ფეხბურთელი ყოფილიყო 2017 წელი - სიხარულითა და წარმატების მომტანი.

დიდი იუბილე

„მამ გამანჯვება ცბილო სიყოყნო, დავრჩებით მუდამ ჩვენ განუყრელი“

მიჩიკო მეფარიშვილი - 80



80 წელი გამორჩეულია ადამიანის ცხოვრებაში. აქ მთავრდება სიჭარბაგის წლები და იწყება შეუცნობელი, მაგრამ ღირსეული სიბერის წლები, რამეთუ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

ბიჭიკო მეფარიშვილმა თავისი გასაკეთებელი საქმე კაცურად გააკეთა, საზოგადოებაში, ნათესავ-მეგობრებში, სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. უკანმოსვლის ნამდვილად არ ეშინია, მუდამ სიკეთე უკეთებია, ამიტომ პატივს სცემენ და უყვართ იგი.

ღიას, მას 80 წელი შეუსრულდება 2017 წლის 4 იანვარს. დაბადების წელი კი ის თარიღია, როდესაც ადამიანი აჯამებს თავისი განვლილი ცხოვრების გზას. ზოგი კმაყოფილია, ზოგი სინანული იპყრობს, მაგრამ ცისქვეშეთში ყველაფერი უფლის ნებით ხდება და მას ვერავინ შეცვლის. აი, ამ პოსტულატიდან გამომდინარე ამაყად ვამბობთ წლები ჩემი სიმდიდრეა. ბიჭიკო მეფარიშვილთან დაკავშირებით შეგვიძლია ამ ლექსის პერიფრაზი გავაკეთოთ „წლები, შვილები და შვილიშვილები ჩემი სიმდიდრეა“.

განვლილი 80 წლის მანძილზე ბიჭიკო მეფარიშვილს ბევრი სიხარული განუცდია, მაგრამ ბევრი გულისტკივილიც უგებია, მიუხედავად ამისა უმადურობის გრძობას არ განიცდის. დაბადებულა საქართველოს ერთ-ერთ უღამაზეს კუთხეში - იმერეთში, ბავშობიდანვე გაისიგრძელებს „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“, მშობლების მზრუნველობა არ დაკლებია, შემდეგ იყო განსწავლის წლები. სწავლობდა ფოთში, პიდრომელიორა-

ციულ ტექნიკუმში. ახლადგახსნილ ბიზნესის ფაკულტეტზე. დაბრუნებისთანავე მუშაობა დაიწყო ფოთ-ვაჭრობაში და მალე გახდა წარმატებული ბიზნესმენი. მოვლილი აქვს პოსტსახატოთა სივრცე ფოთიდან ვლადივოსტოკამდე და მურმანსკიდან ბაქომდე. მაგრამ საქართველოზე უკეთესი და უღამაზესი მხარე არსად შეხვედრია, ამიტომაც გაითავისა, „საქართველო ღამაზო, სხავ საქართველო სად არის“. ეს მისი ახალგაზრდობის ცხოვრებაა, როცა იგი დუდა და დვინდებოდა, იმ პერიოდში მას ურთიერთობა მოუხდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან. თავისი კეთილი ბუნებით მრავალი მეგობარი შეიძინა. ბიჭიკო მეფარიშვილს ყველგან სამსახურში, სამეზობლოში თუ სამეგობროში თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია, ყოველთვის ინიციატივანია, რასაც ხელს უწყობს მისი მკვეთრად გამორჩეული თანხიანი ხმა, უჭრის ჭკუა და გონება, იცის კარგისა და ცუდის გარჩევა, პურმარიღიანია, სწორედ ამ თვისებების გამო ხშირად პირველი კაციცაა და თამადაც, რასაც წარმატებით ასრულებს კიდევ მის სიტყვას და აზრს ყურს უდგამენ და გულთან მიაქვთ. ახლაც თავისი მცირე ბიზნესი აქვს, სათანადოდ ერკვევა პოლიტიკაში, რამეთუ ბევრს კითხულობს, ზომიერად საზოგადო მოღვაწეცაა და ჩინოვნიკიც, ამიტომ მასთან შეგვიძლია გაცნობი თანამედროვე პრესას. ბიჭიკომ მშვენივრად იცის შრომის ფასი, ანგარიში, წონა, ზომა არ ეშლება, რაც მის კაცობაზე მეტყველებს. არავის დაამდაბლებს და დანაზრავს, რის გამოც ემადლიერებიან. აქ, მის ე. წ. ოფისში თავს იყრიან ნაღდი ფოთელები, ნაღდი იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ის ფოთი აღარაა, 25 წლის წინ რომ

იყო. როდესაც სლოგანი „ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ“ ამაყად ეღერდა. ამიტომ ნაღდი ფოთელებს შორის დამაკავშირებელი ერთადერთი ადგილი ბიჭიკოს ოფისია, რომლის დანიშნულება და მთავარი ფუნქციაა გულთაშორის კავშირის დამყარება. მისი ოფისის სტუმრები არიან უკვე ჭარმაგი, ცნობილი სახეები, ფოთის კოლორიტები, ექსპირველი სანიტარი გიული ბერძენიშვილი და ექსმედვინე ნოდარ ნიკოლაიშვილი, ყოფილი ბანკირები ანზორ გრიგოლია, ვანო პატარაია და საზოგადო მოღვაწეები რეზო თარგამაძე, გოგი გაგინძე, რუსულან ბოლქვაძე, ბადრი ჩემია, ვანო ნარმანია, გურამ კურტალაძე, ნაპო თოდუა, ბორის ლოლუა, სოზარ ჯალაღანია, ბეჟან ფაჩულია, დემურ ზერაგია და თბილისში მცხოვრები ფოთელთა წარმომდგენლობა ჯიმი ქვარცხავას თავაკაცობით და მრავალი სხვა, პირველი „ბირთვით“ დაწესებული და „სტილიაგები“ დამთავრებული.

აი, ამ სივრცეში ზის ბიჭიკო „მახვივით“, ზოგჯერ სრულიად მარტონ, (ასეც ხდება), გაპყურებს თავის განვლილ გზას და პოეტის არ იყოს ამოიკენებს „ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდა ჩვენი ბავშობა და სიღამაზე“.

როგორც ზემოთ ითქვა, ბიჭიკოს უკან მოხედვის ნამდვილად არ ეშინია, კაცურად განვლო 80 წელი და ატარებს დიდ გულსტკივილს მეუღლის უდროოდ გარდაცვალების გამო, რომელსაც ემატება ძვირფასი დის გარდაცვალებით გამოწვეული უძიმესი ტკივილი, მაგრამ ცხოვრება თავისას ითხოვს და ბიჭიკოც ვაჟკაცურად ეწევა ცხოვრების ჭაპანს. თავის გულსტკივილს თავს არავის ახვევს, რამეთუ მისი ცხოვრების კრედილი „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვი-

ან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ სოფელში მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის აღარ იზრუნოს“.

ცოცხალ კაცს საზრუნავს რა გამოუღვეს, ოჯახი, შვილები, შვილივილები და ბიჭიკოც ამაყობს შვილებითა და შვილიშვილებით. ეამაყება, რომ ერთ-ერთი შვილიშვილი ბექა მეფარიშვილი კომპიუტერული ტექნიკის ინჟინერია, რამდენიმე წელი იმყოფებოდა გერმანიაში და იქ იმადლებდა კვალიფიკაციას, გიორგი მეფარიშვილი კი უნივერსიტეტ დამთავრებულია, ეკონომისტი და საზოგადოების ღირსეული წევრია, ხოლო შვილიშვილს ქრისტიან მეფარიშვილს დამთავრებული აქვს ლონდონის მაგისტრატურა და მუშაობს ლონდონის ერთ-ერთ ბანკში, შვილიშვილი მარია კი სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აი, ასეთია ამ შესანიშნავი პიროვნების მოკლე ბიოგრაფია.

იხარეთ ბატონო ბიჭიკო ამ მაღლიან ქვეყანაში. დამერთი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი-კიდევ ერთი ამდენი წლისთვის მოგეყაროს თავი. მრავალჯამიერ!

მეზობრმა

ქალაქი

ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი VII ტრადიციული მემორიალური საჭადრაკო ფესტივალი



2016 წლის 26 ნოემბერს-10 დეკემბერს ქ. ფოთის ნანა ალექსანდრიას სახელობის ჭადრაკისა და შაშის კომპლექსური სასპორტო სკოლის სატურნირო დარბაზში ჩატარდა ცნობილი ფოთელი ბიზნესმენის, საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედის ჯემალ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი VII ტრადიციული მემორიალური საჭადრაკო ფესტივალი.

ფესტივალის პროგრამაში შედიოდა საერთო ტურნირი და იმის გათვალისწინებით რომ მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის, მარტვილისა და ხობის წარმომადგენლებმა, ფესტივალმა რეგიონალური პირველობის სახე მიიღო. ტურნირი ჩატარდა საჯარო სკოლების გუნდურ, საოჯახო, დამწვებ მოჭადრაკეთა კლასიკურ ჭადრაკში და სამეგრელო ზემო-სვანეთის აბსოლუტური ჩემპიონატის საშეჯიბრო ფორმატში.

აქვე გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს: ქ. ფოთის საჯარო სკოლების გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა მე-5 საჯარო სკოლამ, მე-2 ადგილი დაიკავა მე-2 საჯარო სკოლამ, ხოლო მე-3 საპრიზო ადგილი მოიპოვა მე-15 საჯარო სკოლამ.

საოჯახო ტურნირში პირველობა

მოიპოვეს მშობელთა წარმომადგენელმა თიეუმურაზ (შვილი) და კობა (მამა) კვიციანიებმა, მე-2 საპრიზო ადგილზე გავიდნენ ფოთელები აკაკი (შვილი) და ქეთი (დედა) ყალიჩაევები, ხოლო მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავეს მარტვილელმა ლიზი (შვილი) და გოგი (მამა) ფონხუებმა.

დამწვებ 6 წლამდე მოჭადრაკეთა შორის პირველობა მოიპოვა ნიკა წურწუშიამ, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ირაკლი რურუა, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა გავა გვასალიამ.

დამწვებ 6 წლამდე გოგონათა შორის გაიმარჯვა მარიამ გაბუნია, მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა მარიამ გრიგალაშვილმა, ხოლო მე-3 ადგილი მოიპოვა სესილი ჯიშკარიანმა.

დამწვებ 8 წლამდე ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირში გამარჯვება მოიპოვა დავით წურწუშიამ, მე-2 ადგილი დაიკავა ლუკა ჯობავამ, ხოლო მე-3 ადგილი ერგო სანდრო უჩანეიშვილს.

დამწვებ 8 წლამდე გოგონათა შორის გაიმარჯვა ნია ანთაძემ, მე-2 საპრიზო ადგილი მოიპოვა მარიამ საჯაიამ, ხოლო მე-3 ადგილი დაიკავა ლიზი შენგელიამ.

კლასიკურ ჭადრაკში 7 წლამდე ჭაბუკთა შორის გამარჯვება მოიპოვა გიორგი კვარაცხელიამ, მე-2 საპრიზო ადგილზე გავიდა ლუკა წურწუშია, ხოლო მე-3 ადგილი დაიკავა დავით ხარშილაძემ.

კლასიკურ ჭადრაკში 7 წლამდე გოგონათა შორის პირველობა მოიპოვა თინათინ ხარზიანმა, მე-2 საპრიზო ადგილზე გავიდა ლიზი ხართიშვილი, ხოლო მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა ელენე ალაიძემ.

კლასიკურ ჭადრაკში 9 წლამდე ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა კახაბერ კიხორია, მე-2 საპრიზო ადგილი მოიპოვა ლუკა ჯაბელიამ, ხოლო მე-3 საპრიზო ადგილზე გავიდა კონსტანტინე კვინია.

კლასიკურ ჭადრაკში 9 წლამდე გოგონათა შორის გაიმარჯვა ანი სანიკიძემ, მე-2 საპრიზო ადგილი მოიპოვა ანასტასია მატკავამ, ხოლო მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა ნია ბაკათელიამ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის აბსოლუტურ ჩემპიონატში მამაკაცთა შორის გაიმარჯვა საქართველოს ასაკობრივი პირველობის მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზორმა ფოთელმა ნიკა დვამბერია, მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა ასევე ფოთელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გონა ჩახუამ, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ზუგდიდელმა ეროვნულმა ოსტატმა ქალთა შორის, ევროპის ასაკობრივი

მურაზ კვიციანიამ, ხოლო 12 წლამდე მოჭადრაკეთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდელმა მოჭადრაკემ გიორგი ნაყოფიამ, სენიორთა (ვეტერანთა) შორის კი გაიმარჯვა სენაკელმა ვეტერანმა მოჭადრაკემ ზურაბ ლიფონავამ.

ფესტივალის ტურნირებში გამარჯვებულები და პრიზორები დაჯილდოვდნენ თასებით, დიპლომებით, ფასიანი პრიზებითა და ფულადი პრემიებით.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 300-მდე მოჭადრაკემ.

ფესტივალის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო მემორიალის მუდმივმა სპონსორმა შპს „კავტრექსფოთმა“ (გენ. დირექტორი



პირველობის ორგზის პრიზორმა - მადონა ბოკუნავამ.

ქალთა შორის აბსოლუტური პირველობის გამარჯვებული გახდა ნანა ალექსანდრიას სახელობის ჭადრაკის სასპორტო სკოლის მოჭადრაკე გოგონა, საქართველოს ასაკობრივი პირველობის ჩემპიონი და პრიზორი - დიანა ლომაია, მე-2 საპრიზო ადგილი მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონატის 10 წლამდე მოჭადრაკეთა შორის ხობელმა მოჭადრაკემ თე-

რი რობერტ გვაზავა). ღონისძიების მაღალდონეზე მომზადება-ჩატარება უზრუნველყო სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონის ჭადრაკის ფედერაციამ და ფოთის ნანა ალექსანდრიას სახელობის ჭადრაკისა და შაშის კომპლექსურმა სასპორტო სკოლამ, ხოლო საინფორმაციო სამსახური უზრუნველყო ფოთის სატელევიზიო „მე-9“ არხმა.



რევაზ გენადის-ძე გიორგაძე დაიბადა 1961 წლის 15 თებერვალს სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარში, პედაგოგების ოჯახში. განათლებით იურისტი, სამართალმცოდნე

1984-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს შ.ს.სამინისტროს სისტემაში, სხვადასხვა თანამდებობაზე, მინიჭებული ქონდა პოლიციის მაიორის სპეციალური წოდება. იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე აფხაზეთში.

2003-2007 წლებში მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო-ტექნიკური უნივერსიტეტის ფოთის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად. 2007 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მთავარ სპეციალისტად თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოყენო დარბაზში.

1989 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქალაქ ფოთში და აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ თუ გასვლით გამოყენებში, კერძოდ: 2003-2015 წლებში - ქალაქ ფოთის საგამოყენო დარბაზში, 2005 წელს მიიღეს საქართველოს მხატვროთა კავშირის წევრად, 2005-2006 წლებში მონაწილეობდა საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ-დათვალიერება ფესტივალში, გაიმარჯვა და გახდა ფესტივალის ლაურიატი, ნამუშევარი „სვანური კოშკები“ შეტანილია ფესტივალის ლაურიატთა კატალოგში. 2006 წელს მონაწილე-

ობდა ქალაქ ბათუმში გასვლით გამოყენებაში. 2010 წელს მონაწილეობდა ლიტველ და ქართველ მხატვართა ერთობლივ ღონისძიებაში.

რევაზ გიორგაძის ნამუშევრები შექმნილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოქალაქეებსა და კერძო კოლექციონერებს.

2015 წლის 26 ივნისს ქ. ფოთის საგამოყენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს მხატვართა საერთაშორისო კავშირის წევრის მხატვარ რევაზ გიორგაძის პერსონალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნა სხვადასხვა ჟანრში შესრულებული 40 -ნამუშევარი.

რევაზ გიორგაძის პერსონალურმა გამოფენამ მოლოდინს გადააჭარბა-დრომ ბევრი სიმდიდრე შესძინა მხატვარს, მრავალფეროვნება, ოსტატობა, კოლხური პეიზაჟები, მივიწყებული ქალაქი, წითელ წიგნში შეტანილი თუ შესატანი უნიკალური შენობებით, ლამაზ ფერებში, ქართველი მწერლობის კლასიკოსების უკვდავი სახეები, მხატვრული პოეზია სულის ტკივილამდე, საინტერესო თემები, ცხოვრებისეული სიბრძნით გაჯერებული. სამშობლო, სიყვარული, მარადიულ ფენომენტან შეჭიდება, ისე როგორც ოსტატს შეაფერის. ყოველი სურათი დიდებულ ჩარჩოში, და ისიც მხატვრული ქმნილებაა. ხაზგასასმელია დიდი შრომისმოყვარეობა. მხატვარმა იცოდა დროის ფასი, იგი უღმობელია და შეუძლია მხოლოდ დიდი სურათით შეაჩეროს, მარადიულობაში გადაიყვანოს, ასეთი გრძნობა გეუფლება „სვანური კოშკების“ ხილვისას.

უდროოდ წავიდა ჩვენგან კარგი პიროვნება, კეთილშობილი, გულთბილი, სამართლიანი, ჭირსა და ღვინოში გვერდში მდგომი კაცი, დიდი ხელოვანი და მოქალაქე, რომლის ხსოვნას დიდხანს დარჩება ფოთელთა გულში.

საგამოყენო დარბაზის კოლექტივი მემორიალი



15 წელი გავიდა იმ ტრაგიკული შემთხვევიდან... 15 წლის შემდეგ სრულიად შემთხვევით, თუ ურუშაძის ჩანაწერები, წიგნში ჩაკეცილი ვიპოვეთ...

განწყობილება № „მადლობელი ვარ სიყვარული რომ მასწავლე, მადლობელი ვარ შენს თვალებში რომ ჩამახედე და ჩემი თავი დამანახე... მადლობელი ვარ ბედნიერებისათვის და მწუნარებისათვის შენ, რომ მარგუნე... მადლობელი ვარ ლამაზი ცისათვის, მზიანი დღისათვის, ნამიანი წვიმისათვის, შენ, რომ მაგრძობინე...“

არა, არა ეს სიტყვები კი არ მოეწონება, უბრალოდ ძველ ბლოკნოტს წააწვდა და იქ ამოიკითხა, კარგია, ადრე ძალიან მოსწონდა.

ახლა, ახლა რატომღაც ნერვებს უშლიდა. დადიოდა, დატარებდა რაღაც უთქმელს, გაუგებარს, და საოცრად არასასიამოვნოს. მერე რაღაც უსასრულოს გამოედევნებოდა ფიქრში და ჰაერით გაშვებულ თვალეზით სივრცეს დაუწყებდა ძებნას, პოულობდა... სივრცეს ყოველთვის პოულობდა...

მერე, სევდასავით უთქმელი, მორჩილად მიუახლოვდებოდა და უსმენდა.. რა საოცარი იყო ხმა.. თვალეზდახრილი, გარინდებული უსმენდა ხმაურს..

ოცნება ყავის ნალექით გულის ფსკერზე დაღეკილი, უფიგურო და უკვე უფერო..

ნატვრა, სიკეთესავით მშვიდი, გადარჩენასავით სასურველი, პულსით მფეთქავი.. სურვილი, ღმერთით დიდი და ყოველსმომცველი,

არამკრეხელი, არამგმობი, არაურწმუნო.. კო, სწორედ რწმენა, სუფთაა, მაღალი..

გალობასავით ჩაესმოდა მისივე ფიქრი და სურდა ეგრძნო როგორ სჯეროდა ყოველსმომცველის, ყოველსშემქნელის სურდა ეყვირა, რომ იყო რწმენა, მასში იყო და მისი სჯერა.. ღოცის სჯეროდა, ენდობოდა.. რა საოცარი იყო ხმა.. თვალეზდახრილი, გა-

რინდებული გალობას უსმენდა..

წვიმს, მონატრება ჩამოყვა წვეთებს, წვიმს. წვიმს აივანზე, სახურავზე და ლურჯი ცის ქვეშ.

მონატრებისთვის მე არ გთხოვ მოსვლას, არც დაბრუნებას. მე მინდა მზე, წვიმს. ნაცრისფერ ამინდში უფეროდ წვიმს..

მე მინდა მზე.. მას მოვიპარავ.. მზეს მოვიპარავ შენს თვალებიდან. და შენ, გააღებ უმზეო თვალებს ატირდები და გაგიწვიმდება..

მე შექნება ორი მზე! შენ მოხვალ ჩემთან!

წვიმს, უფერო წვეთი ჩამოყვა წვიმას.. აღარც კი ახსოვს როდის ეძახდა, როდის ელოდა.. არ ახსოვს როდის იტირა ბოლოს..

როდის უყვარდა, მაგრამ ახსოვს, რატომღაც ახსოვს.. და იცოდა, რომ ვიღაცის წინაშე პატიებას, ითხოვდა..

აღბათ დიდი იყო მზე, მოპარული.. ან ძალიან საბრალო, უმზეოდ გახელილი თვალეზი.. „და, მაპატიე ჩემი დიდი სიყვარული, რამეთუ ძალმიძს არ მიყვარდე, ყველა გაბრაზება და შეშფოთება მაპატიე, გზადაგზა რომ გავაზნე. უაზროდ დადგრილი წვიმის წვეთები მაპატიე.“

მაპატიე ჩემი დიდი სიყვარული, რამეთუ ძალმიძს არ მიყვარდე“

რა საოცარი იყო ხმა.. თვალეზდახრილი, გარინდებული ადამიანების ხმას უსმენდა“

ეს ფურცლები ეს 15 წელი ელოდა სათქმელს.. დუმილი დარღვეულია თუ.. სათქმელიც ითქვა!

მონატრების ტკივილი, რომელსაც ტომ კრეაფერი ცააკვლ...

დეკემბრის ცივი ღამეა... უდიდესი სიცივე, სიცარიელეა გულში. სიცივე და სიცარიელე, რომლის შევსება და გათბობა ვერაფერმა ვერ შეძლო...

დედაც - ჩემო ტკივილო, შენ ხომ ახალგაზრდამ, ტკივილებით გატანჯულმა 50 წლის ასაკში დაასრულე სიცოცხლე. ისე გარდაიცვალე, რომ ჩემთან არასოდეს დაგიჩვილია მტკივა და ცუდად ვარო. მე მზოგავდი და გეცოდებოდი. ვიდაცას უთქვამს - დრო მეურნალიაო, ჩემს შემთხვევაში ასე არ არის. მე ისევ ისე მტკივა და მაკლიხარ, როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ.



ჩემო მურადი, შენც დეკემბრის ცივი ღამეს გამომეცალე მხრიდან. ჩემო იმედო და დასაყრდენო, ჩემო უდიდესო სიყვარულო.




მხელია უშენობა, სახლში მარტოდ დარჩენილს მიჭირს პრობლემებთან გამკლავება. პრობლემები კი ბევრი გვაქვს. ვიცო წუწუნი არ გიყვარს. ღმერთი მშვიდობით დაგვიბრუნებს შინ ჩვენს ვაჟს. ისევე გაგრძელდება ცხოვრება და ისევე ადრდება ჩვენი ძლიერი ოჯახი. მოდუნების უფლება არ გვაქვს ჩემო საყვარელო.

უზომოდ მენატრებით ჩემო ძვირფასებო... უფაღს ვთხოვ რომ ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულელები... გულმოკლული შვილი და მხარ მოტახილი მეუღლე მკამონა ბოკუჩავა.

პრობლემატიკის მიხედვით

ალბერტი ზარგინავას ხსოვნას



რამოდენიმე წლის წინ, ზაფხულის დამდეგს, მოძალეზული ნოსტალგიით ჩამოვიდა საყვარელი ქალაქში. მშობლიურ მიწა-წყალს მონატრებულმა, პირველ რიგში მშობლებისა და დასავით ძვირფასი რძლის საფლავებს მიაკითხა, შემდეგ საკუთარ სისხლსა და ხორცს - ძმას, ომარ ზარგინავას, ძმიშვილებს - ქეთისოსა და მალხაზის, რძალს-მიაკოს, ძმისშვილშვილებსა და შვილთაშვილებს მიეფერა, მიესიყვარულა, არც მეზობლები და ახლონაცნობები დაივიწყა. შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, მშობლიური ფოთის ქუჩებსა და ზღვის სანაპიროსაც გადაავლო თვალი. გაიელვა გონებაში სიყვარული, სიჭაბუკემ, წარსულის ტკბილმწარე ფრაგმენტებმა. ივლისში ძმიშვილებმა 80 წლის იუბილე აღუნიშნეს, სითბო და პატი-

ვისცემა არ მოაკლეს, ათეული წლების წინ საქართველოდან წასულს, მაგარ ნიადაგ ფოთსა და სამშობლოს მონატრებულ საყვარელ მიძას...

მშობლიურმა კერამ გულში ჩაიკრა ალბერტ ზარგინავა, ცხოვრების ათას განსაცდელს, თავგადასავალსა და ჭირ-ვარამს გამოვლილი კაცი. ნამდვილი კოლხი ვაჟკაცის აღნაგობისა და გარეგნობის, ბავშვივით ალალი გულისმქონე ადამიანი, წელთა სიმრავლეს, სამშობლოდან შორსმყოფის განსაცდელს ვერ დაეჩრდილა მისი ვიზუალური მიმზიდველობა. არც გულის სითბო განელეზულა, უკრაინაში დარჩენილ ვაჟს-რობერტის, შვილიშვილს მაქსიმს, რძალს და ფოთში მყოფ მოდგმას გული უწევდა ოდესიდან ფოთისკენ, ეჩქარებოდა, გრძნობდა წუთისთვლის ბოლო აკორდებს. გამოყვა კიდევ გულის წადილს, ბედისწერამაც აუხდინა საბოლოო სურვილი-მიებარა მშობლიურ მიწას, მშვიდად, ვაჟკაცურად.

ნათელი დადგომოდეს ალბერტ ზარგინავას მარადისობაში.

ასლობლები